''ახალი საქქალაქმშენპროექტი''
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საქართველოს ქალაქთმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი

განმარტება

ქ. თბილისში, ილია ვეკუას ქ. №11ბ (ს/კ 01.11.13.001.122) მიმდებარედ მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის ჩატარებულ საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მასალების შენიშვნაზე

მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მასალების მოცულობა – ჭაბურღილების რაოდენობა, განლაგება, სიღრმეები და ლაბორატორიული კვლევის მონაცემები სრულად აკმაყოფილებს პროექტში შეტანილ ცვლილებებს, არ საჭიროებს დამატებით კვლევის ჩატარებას და არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას გეოგარემოზე.

დირექტორი ბ. მირიანაშვილი

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების
განყოფილების უფროსი ზ. კვაჭანტირაძე

შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"
საქართველოს ქალაქთმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი, 0160,
ალ. ყაზბეგის გამზ. №2 / პეკინის ქ. №34

"AKHALI SAKKALAKMSHENPROEKTI" LTD.
(The Georgian Institute for Regional & Urban Planning)
2 A.Kazbegi Ave./ 34 Pekin Str. 0160,
Tbilisi, Georgia

Tel: (995 32) 37 52 26; E-mail: sqmp_project@yahoo.com
www.sqmp-project.ge

''ახალი საქქალაქმშენპროექტი''
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საქართველოს ქალაქთმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი

დაკვეთა №140/2019

ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ილია ვეკუას ქ. №11ბ-ის მიმდებარედ (ს/კ 01.11.13.001.122) მრავალფუნქციური კომპლექსის „გლდანი მოლის“ მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

დირექტორი ბ. მირიანაშვილი

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების უფროსი ზ. კვაჭანტირაძე

თბილისი 2019 წ.

შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"
საქართველოს ქალაქთმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი, 0160,
ალ. ყაზბეგის გამზ. №2 / პეკინის ქ. №34

"AKHALI SAKKALAKMSHENPROEKTI" LTD.
(The Georgian Institute for Regional & Urban Planning)
2 A.Kazbegi Ave./ 34 Pekin Str. 0160,
Tbilisi, Georgia

Tel: (995 32) 37 52 26; E-mail: sqmp_project@yahoo.com
www.sqmp-project.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

№№	მასალების დასახელება	გვერდების და ნახაზების №
	I ტექსტური ნაწილი	
1	ტექნიკური დავალება	1
2	პროგრამა	2 – 3
3	საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა	4 – 18
	II ტექსტური ნაწილის დანართი	
4	გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი	19 – 22
5	კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი	23
6	გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები	24 – 31
7	ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევის შედეგები (სარქივო მასალა) – 5 ფურცელი	
	III გრაფიკული მასალა	
8	ტერიტორიის ტოპოგეგმა 1:1000 მასშტაბში, ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების დატანით	ფ. №1
9	ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები	ფ. №№2 – 8
10	უბნის გეოლოგიური ჭრილები	ფ. №№9 – 26
11	პირობითი აღნიშვნები	ფ. №27

პროგრამა

ქ. თბილისში, გლდანში მრავალფუნქციურ კომპლექს „გლდანი მოლის“ მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

წინამდებარე პროგრამა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისთვის) პპ 1.15, 1.19, პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), სნ და წ 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები) მოთხოვნების და რეკომენდაციების გათვალისწინებით და გადმოცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე.

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის საფუძველი – ხელშეკრულება №140 (დაკვეთა 140/2019), გაფორმებული 2019 წლის 26 აგვისტოს, შპს „დონა გრუპის“ დირექტორის მინდობილი პირის გიორგი ბეჟანიშვილსა (დამკვეთი) და შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის“ დირექტორის ბაკურ მირიანაშვილს შორის.

ჩატარებული კვლევის მიზანი: მრავალფუნქციური კომპლექსის „გლდანი მოლის“ მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათება და კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების დაფუძნების საკითხების გადაწყვეტა.

დასაპროექტებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, გლდანის საცხოვრებელ მასივში, ილია ვეკუას ქ. №11^{ბ}-ის მიმდებარედ, ყოფილი ავტოსაწარმოს ტერიტორიაზე. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ხევძმარის ხეობა, დასავლეთიდან – შეშელიძის ქუჩა.

დასაპროექტებელ კომპლექსში შედის:

– 3 მაღლივი საცხოვრებელი შენობა (21, 28 და 32 სართულიანი შენობები 2 ნოლსქვეშა სართულით);

– 2 სართულიანი არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები;

– 8 სართულიანი სასტუმროს შენობა 1 ნოლსქვეშა სართულით;

– სასპორტო მოედანი;

– საოფისე შენობა – ერთსართულიანი, უსარდაფო.

ტერიტორიაზე დასაპროექტებელი შენობა-ნაგებობების განთავსება მოცემულია დამკვეთის მიერ მოწოდებულ გენგეგმაზე.

გეომორფოლოგიურად, მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია განთავსებულია მდ. მტკვრის ალუვიური ტერასის ფარგლებში, სადაც ალუვიური ნალექები ძირითადად გადარეცხილია და შემორჩენილია ლოკალურ უბნებზე, ფრაგმენტულად, მცირე სიმძლავრის მსხვილნატეხოვანი გრუნტის სახით.

ტექტონიკურად, ქ. თბილისი მდებარეობს ნაოჭა სისტემის ცენტრალური ზონის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც გამოიყოფა მცირე განვრცობის ტექტონიკური ერთეულები. მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია დიღომი-ხევძმარის სინკლინის ფარგლებშია, სადაც სინკლინის მულდა წარმოდგენილია შედარებით ახალგაზრდა ნალექებით – ოლიგოცენ-ქვედა მიოცენის (P_3+N_1^1) ე.წ. „მაიკოპის წყების“ ნალექებით. ოლიგოცენ-ქვედა მიოცენის ნალექების სიმძლავრე, გეოლოგიური საფონდო მონაცემებით, რამდენიმე ათეული მეტრია და თანხმობით ადევს უფრო ძველ ნალექებს – ზედა ეოცენის ძირითად ქანებს – არგილითების და ქვიშაქვების მორიგეობას.

მიწისქვეშა წყალი (გრუნტის, ნაპრალოვანი) გავრცელებულია სპორადულად, მეოთხეულ საფარ გრუნტებში და ძირითად ქანში, უწნეო, მცირე დებიტის გრუნტის წყლების სახით.

მიწისქვეშა წყალი მინარალიზებულია და ხასიათდება რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ სხვადასხვა ხარისხის სულფატური აგრესიულობით.

მოცემული ტერიტორიის ფარგლებში საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, პროექტის სტადიაზე ჩატარებულია 2018 წლის ივნის-ივლისში შპს „ახალი საქ-ქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ, რომლის დროსაც მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გაიბურღა 5 ჭაბურღილი (№№1–5), სიღრმით 15–20 მ (კვლევის მასალა დაცულია განყოფილების არქივში).

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გაიბურღოს 12 ჭაბურღილი (№№6–17). ჭაბურღილების ნუმერაცია წარმოადგენს წინა ეტაპზე გაყვანილი ჭაბურღილების (№№1–5) ნომრების გაგრძელებას.

გასაყვანი ჭაბურღილების განლაგება, ტოპოგეგმაზე მოცემულია დამკვეთის მიერ (ჭაბურღილების განლაგება ტოპოგეგმაზე მოცემულია დასაპროექტებელი შენობა-ნაგებობების კონტურების საზღვრებში, შენობა-ნაგებობებიდან გრუნტზე მოსალოდნელი მაქსიმალური დატვირთვების გათვალისწინებით).

ჭაბურღილების სიღრმეები განისაზღვროს ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის მდებარეობით, გამოფიტული და ნაკლებად გამოფიტული ზონების გამოყოფით (სავარაუდოდ 15–30 მ).

ბურღვა ჩატარდეს თვითმავალი საბურღი დანადგარით „უგბ-1ვს“, მექანიკურ-სვეტური მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-დე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

შენიშვნა: ჭაბურღილების რაოდენობა და სიღრმეები შეიძლება შეიცვალოს (დამოკიდებული იქნება საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულეზე).

ჭაბურღილებიდან აღებული იქნეს ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის ნიმუშები (მეოთხეული გრუნტებიდან, ძირითადი ქანებიდან), საკონტროლო ლაბორატორიული ანალიზებისთვის.

აღებული იქნეს მიწისქვეშა წყლის სინჯები, საკონტროლო ქიმიური ანალიზებისთვის.

მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ლაბორატორიული კვლევის საარქივო მასალები.

გეოლოგიური ჭრილების აგებისას, გამოყენებული იქნეს პროექტის სტადიაზე გაყვანილი ჭაბურღილების მონაცემები.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შედგენილი იქნეს საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-9 დანართის რეკომენდაციების მიხედვით და აიკინძოს 3 ეგზემპლარად. მომზადდეს კვლევის მასალების ელექტრონული ვერსია.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების
განყოფილების მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

ქ. თბილისში, გლდანში, ილია ვეკუას ქ. №11ბ-ის მიმდებარედ (ს/კ 01.11.13.001.122) მრავალფუნქციური კომპლექსის „გლდანი მოლის“ მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

თავი I – შესავალი

შპს „დონა გრუპის” დირექტორის მინდობილი პირის – გიორგი ბეჟანიშვილის დაკვეთით (დაკვ. №140/2019), შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ, 2019 წლის აგვისტო-სექტემბერში, ქ. თბილისში, გლდანში, ილია ვეკუას ქ. №11ბ-ის მიმდებარედ მრავალფუნქციური კომპლექსის „გლდანი მოლის“ მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანი: გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათება და კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების დაფუძნების საკითხების გადაწყვეტა.

დასაპროექტებელ კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების განთავსება გამოყოფილ ტერიტორიაზე, მოცემულია ტექნიკურ დავალებაზე დართულ გენგეგმაზე (ერთვის დასკვნას).

მოცემულ ტერიტორიაზე საინჟინრო გეოლოგიური კვლევა პროექტის სტადიაზე ჩატარდა 2018 წლის ივნის-ივლისში, შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ, რომლის დროსაც საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გაიბურღა 5 ჭაბურღილი, სიღრმით 15–25 მ. პროექტის სტადიაზე გაყვანილი ჭაბურღილები (№№1–5) დატანილია 1:1000 მასშტაბის ტოპოგეგმაზე. კვლევის მასალები დაცულია განყოფილების არქივში და სრულად არის გამოყენებული წინამდებარე დასკვნის შედგენისას.

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების საფუძველზე შედგენილი პროგრამის თანახმად, კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გაიბურღა 13 ჭაბურღილი (პროგრამით დასახული 12 ჭაბურღილის ნაცვლად, დამატებით გაიბურღა ერთი ჭაბურღილი) – №№6–18. ჭაბურღილების ნუმერაცია წარმოადგენს ადრე გაყვანილი ჭაბურღილების (№№1–5) ნომრების გაგრძელებას. ჭაბურღილების რაოდენობა და განლაგება მოცემულია დამკვეთის მიერ გადმოცემულ 1:1000 მასშტაბის ტოპოგეგმაზე.

ჭაბურღილების სხვადასხვა სიღრმე, განაპირობა ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის სხვადასხვა სიღრმეზე განლაგებამ და შემდეგია: ჭაბ.№6 – 15,0 მ, ჭაბ.№7 – 25,0 მ, ჭაბ.№8 – 20,0 მ, ჭაბ.№№9–14 – 25 მ თითოეული, ჭაბ.№№15, 16, 17, 18 – 15,0 მ თითოეული. ბურღვის მთლიანი მოცულობა 287,0 გრძ. მეტრია.

ჭაბურღილების ბურღვა შესრულდა პროგრამაში მითითებული მეთოდით და დაზგით.

ბურღვის პროცესში, ჭაბურღილებიდან, აღებულია ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების (მეოთხეული, ძირითადი ქანები) 58 ნიმუში, ლაბორატორიული ანალიზებისთვის, მათ შორის:

– თიხოვანი გრუნტიდან – დაურღვეველი სტრუქტურის 23 ნიმუში, (13 წინა ეტაპზე, 10 მიმდინარე კვლევისას);

– მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან – დარღვეული სტრუქტურის 5 ნიმუში, (3 წინა ეტაპზე, 2 მიმდინარე კვლევისას);

– მაიკოპის წყების დისპერსიული – გათიხებული ზონიდან – დაურღვეველი სტრუქტურის 18 ნიმუში, (10 წინა ეტაპზე, 8 მიმდინარე კვლევისას);

– მაიკოპის წყების ფიქლებრივი თიხიდან – დაურღვეველი სტრუქტურის 12 ნიმუში (6 წინა ეტაპზე, 6 მიმდინარე კვლევისას).

ნიმუშების აღების კონკრეტული სიღრმეები და ინტერვალები მოცემულია ჭაბურღილების ლითოლოგიურ სვეტებზე.

საკონტროლო ქიმიური ანალიზებისთვის, აღებულია მიწისქვეშა წყლის 6 სინჯი, (3 წინა ეტაპზე, 3 მიმდინარე კვლევისას).

საველე ბურღვითი სამუშაოების დამთავრების შემდეგ, ჭაბურღილები ლიკვიდირებულია განაბურღი გრუნტით.

გრუნტების გამოცდები და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები ჩატარდა განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. ლაბორატორიული კვლევის შედეგები ერთვის დასკვნას.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული ტოპოგეგმა 1:1000 მასშტაბში, გასაყვანი ჭაბურღილების დატანით. ჭაბურღილების გეგმურ-სიმაღლითი მიბმა და გეოლოგიური ჭრილების აგება შესრულდა ამ ტოპოგეგმის მიხედვით.

საველე ბურღვითი სამუშაოები შესრულდა ინჟინერ გეოლოგების მ. ყიფშიძის და კ. სირაძის ხელმძღვანელობით.

თავი II – საკვლევი ტერიტორიის ზოგადი დახასიათება (მდებარეობა, კლიმატური, გეომორფოლოგიური, ზოგადი გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები)

დასაპროექტებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია, მდებარეობს ქ. თბილისში, გლდანის საცხოვრებელ ნაწილში, ილია ვეკუას ქ.№11ბ-ის მიმდებარედ, ყოფილი ავტოსაწარმოს ტერიტორიაზე. საკვლევ ტერიტორიაზე შემორჩენილია ყოფილი ავტოსაწარმოს ერთსართულიანი შენობა-ნაგებობები, რომელთა დემონტაჟი გათვალისწინებულია პროექტით.

პნ 01.05-08 („სამშენებლო კლიმატოლოგია“) თანახმად, რაიონის (გლდანის მონაცემები) ძირითადი კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

- ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –25°C;
- ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;
- ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 550 მმ;
- თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 14;
- ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – Wo=0,85 კპა;
- ქარის უდიდესი სიჩქარე, შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 37 მ/წმ;
- ქარის გაბატონებული მიმართულება – ჩრდილო-დასავლეთის;
- გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – არ გააჩნია.

გეომორფოლოგიურად, მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია განთავსებულია მდ. მტკვრის ძველი ალუვიური ტერასის ფარგლებში. ალუვიური ნალექები აქ ძირითადად გადარეცხილია და შემორჩენილია ლოკალურ ადგილებში ფრაგმენტულად, მცირე სიმძლავრის მსხვილნატეხოვანი (კენჭნაროვანი) გრუნტის სახით. ტერიტორიის რელიეფი მოსწორებულია, ზედაპირის სამხრეთული მცირე დამრეცი დახრით.

ტერიტორიის ზედაპირის აბსოლუტური ნიშნულები, საკვლევი ტერიტორიის საზღვრებში 455,0–459,0 მ-ის ფარგლებშია. ტერიტორია მოხრეშილია კენჭნაროვან-ღორღოვანი (საბალასტო) გრუნტით.

ტექტონიკურად, ქ. თბილისი მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ზონის აღმოსავლეთ ნაწილში. ქალაქის ფარგლებში გამოიყოფა მცირე განვრცობის რამდენიმე ტექტონიკური ერთეული. მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია დიღომი-ხევძმარის სიკლინური ნაოჭის ფარგლებშია, სადაც სინკლინის მულდა წარმოდგენილია შედარებით ახალგაზრდა ნალექებით – ოლიგოცენ-ქვედა მიოცენის (P_3+N_1^1) ე.წ. „მაიკოპის წყების“ ნალექებით. ოლიგოცენ-ქვედა მიოცენის ნალექების სიმძლავრე, გეოლოგიური საფონდო მონაცემებით, რამდენიმე ათეული მეტრია და თანხმობით ადევს უფრო ძველ ნალექებს – ზედა ეოცენის ძირითად ქანებს – არგილითების და ქვიშაქვების

მორიგეობას. მაიკოპის წყების ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირი სხვადასხვა სიღრმეზეა განლაგებული, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს საფარი მეოთხეული გრუნტების (ძირითადად თიხოვანი) ცვალებად სიმძლავრეს.

მიწისქვეშა წყალი (გრუნტების, ნაპრალოვანი) გავრცელებულია მეოთხეულ საფარ გრუნტებში და ნაწილობრივ, ძირითად ქანში, უწნეო, მცირე დებიტის გრუნტის და ნაპრალოვანი წყლების სახით. მიწისქვეშა წყალი მინერალიზებულია და წარმოადგენს აგრესიულ გარემოს რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ.

თავი III – საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები (გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგიური პირობები)

ჩატარებული ბურღვითი სამუშაოების მონაცემების საფუძველზე, შედგენილია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების კონტურების მიმართ, საინჟინრო გეოლოგიური ჭრილები. ვინაიდან გამოყოფილ ტერიტორიაზე კვლევითი სამუშაოები ჩატარდა 2 ეტაპად – 2018 წელს პროექტის სტადიაზე და 2019 წელს სამუშაო დოკუმენტაციის სტადიაზე, ქვემოთ გრუნტების დახასიათება და ლაბორატორიული კვლევები განხილულია, მთლიანობაში, კვლევის ორივე სტადიაზე ჩატარებული მასალების მიხედვით, შესაბამისად, წინამდებარე დასკვნას ერთვის ორივე ეტაპზე ჩატარებული კვლევის მასალები (გრაფიკული, ლაბორატორიული) სრული მოცულობით. გარდა ამისა, დასკვნას ერთვის 2016 წელს მრავალსართულიანი კომპლექსის ტერიტორიაზე ჩატარებული ანალოგიური ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევის მასალაც (დაკვეთა 37/2016). ლაბორატორიული კვლევები ჩატარებულია სსიპ გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ქანების თვისებების და მასივში მიმდინარე ფიზიკური პროცესების კვლევის ლაბორატორიაში, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის გ. ბალიაშვილის მიერ.

როგორც გრაფიკული მასალიდან ჩანს, ტერიტორიაზე გამოიყო გრუნტების 5 ლითოლოგიური ტიპი – 5 ფენა.

ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი (tQ_{IV}) – ნაყარი, წარმოდგენილი კენჭების, ღორღის, იშვიათად სამშენებლო ნაგვის და თიხოვანი გრუნტების (თიხნარ-ქვიშნარი) შემკვრივებული ნარევი. ნაყარი გრუნტის სიმძლავრე 1,1–5,0 მ ფარგლებშია;

ფენა 2 – დელუვიური გენეზისის მეოთხეული თიხოვანი გრუნტი (dQ_{IV}) – 10%-მდე ხვინჭის ჩანართებიანი, სულფატური მარილების შემცველი, ძნელპლას-

ტიკური კონსისტენციის მოყვითალო-ყავისფერი თიხნარით. თიხნარის სიმძლავრე 7,5–11,4 მ ფარგლებშია (მაქსიმალური სიმძლავრით 11,4 მ, გავრცელებულია №5 ჭაბურღილში). თიხოვანი გრუნტი არ არის გავრცელებული საკვლევი ტერიტორიის ჩრდილო პერიფერიაზე (ჭაბ.№1 და ჭაბ.№6).

ფენა 3 – ალუვიური გენეზისის მსხვილნატეხოვანი გრუნტი (αQ_{IV}) – კენჭნაროვანი გრუნტი თიხის 20%-მდე შემავსებლით. კენჭნაროვანი გრუნტი დაქვემდებარებული გავრცელებისაა და წარმოდგენილია ლოკალურ უბნებში ლინზების სახით (მიმდინარე კვლევისას დაფიქსირებული კენჭნაროვანი გრუნტის სიმძლავრე 1,5–3,2 მ-ის ფარგლებშია).

ფენა 4 – ძირითადი ქანის, ე.წ. „მაიკოპის წყების“ (P_3+N_1^1) გამოფიტული, გათიხებული ზონა – დისპერგირებული, ელუვირებული ზონა, წარმოდგენილი სხვადასხვა ფერის (მოყვითალო, ყავისფერი, რუხი, ჟანგისფერი) ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხოვანი (თიხა) გრუნტით. ამ ფენის სიმძლავრე 2,7–4,2 მ-ია და ტექსტურული ნიშანი (დაფიქლების სიბრტყეები) ძნელად გასარჩევია, თუმცა აღინიშნება სიღრმის ცალკეული ინტერვალები მკაფიოდ გამოხატული ტექსტურული ნიშნით (შემორჩენილი დაფიქლების სიბრტყეები), რომლის მიხედვით იგი შეიძლება დახასიათდეს როგორც „საპროლითი“ (ძირითად ქანში შემორჩენილი ცალკეული ჯიბეები და ზონები, ძირითადი ქანებისთვის დამახასიათებელი შემორჩენილი სტრუქტურული კავშირებით).

ფენა 5 – ოლიგოცენ-ქვედა მიოცენის (P_3+N_1^1) ძირითადი ქანი – ფიქლებრივი თიხები, თიხოვანი ქვიშაქვების (იშვიათად ალევროლითების) თხელი შუაშრეებით (ძირითადად 10 სმ-მდე). გრუნტის ეს ფენა შეიძლება დახასიათდეს როგორც ნახევრადკლდოვანი (შუალედური მდგომარეობა თიხასა და არგილითს შორის – სუბარგილითი). გრუნტის სიმტკიცე მეტია იმ ადგილებში, სადაც შეინიშნება თიხოვანი ქვიშაქვების (ალევროლითების) მომეტებული შემცველობა.

გეოლოგიური საფონდო მონაცემებით, ოლიგოცენ-ქვედა მიოცენის ძირითადი ქანების სიმძლავრე რამდენიმე ათეული მეტრია და თანხმობით ადევს ზედა ეოცენს (P_2^3) ძირითად ქანებს – არგილითების და თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობას.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღსანიშნავია შემდეგი:

მიწისქვეშა წყალი გამოვლინდა ტერიტორიაზე გაყვანილ ყველა ჭაბურღილში, მიწის ზედაპირიდან 4,0–7,5 მ-ის ფარგლებში, დამყარების დონის მცირე აწევით წყალი გამოვლინდა როგორც მეოთხეულ საფარ გრუნტში, ასევე მაიკოპის წყების ძირითად ქანში. მაიკოპის წყების ძირითად ქანში გამოვლენილი

წყალი დაკავშირებულია ქვიშაქვების (ალევროლითების) შუაშრეებთან. ფიქლებრივი თიხები წყალგაუმტარია.

გენეტიკურად, მეოთხეულ გრუნტებში გამოვლენილი წყალი, ხევძმარის და ატმოსფერული წყლების ინფილტრაციის შედეგია, ხოლო ძირითად ქანში გამოვლენილი წყალი, მიეკუთვნება ნაპრალოვანი წყლის ტიპის წყლებს. არ გამოირიცხება მიწისქვეშა კომუნიკაციებიდან განაჟონი წყლებიც (კვლევის დამატებითი ტექნოგენური ფაქტორი).

გრუნტის წყლის დონეების ცვალებადობის ამპლიტუდაზე მრავალწლიანი დაკვირვებები არ არსებობს. საორიენტაციოდ, მაქსიმალური აწევის დონედ შეიძლება მიღებული იქნეს +0,5 მ, გამოვლინების დაფიქსირებულ დონესთან შედარებით.

თავი IV – გრუნტებისა და გრუნტის წყლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები

IV_1 – გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

როგორც დასკვნის შესავალში აღინიშნა, საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტებიდან აღებული იყო დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის 58 ნიმუში, აქედან:

23 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტიდან (13 ნიმუში წინა ეტაპზე, 10 ნიმუში მიმდინარე კვლევისას).

5 დარღვეული სტრუქტურის ნიმუში – ფენა 3-ის მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან (3 კვლევის წინა ეტაპზე, 2 მიმდინარე კვლევისას);

18 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – ძირითადი ქანის ელუვირებული, გათიხებული ზონიდან (10 წინა ეტაპზე, 18- მიმდინარე კვლევისას).

12 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – ფენა 5-ის ძირითადი ქანიდან (6 ნიმუში წინა ეტაპზე, 6 ნიმუში მიმდინარე კვლევისას).

აღებულ ნიმუშებზე განისაზღვრა:

– ფენა 2-ის თიხოვან გრუნტზე – ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, რომელთა მნიშვნელობები ნაერთი ცხრილების სახით ერთვის დასკვნას. ამავე ფენის გრუნტისთვის ჩატარდა წყლოვანი გამონაჟურის ქიმიური ანალიზები და განისაზღვრა დამარილიანების ხარისხი (ანალიზების შედეგები შეტანილია კრებსით ცხრილში);

– ფენა 3-ის მსხვილნატეხოვან გრუნტზე ჩატარდა გრანულომეტრიული ანალიზები და განისაზღვრა გრუნტის ნომენკლატურა (გრუნტის ფრაქციები, შემავსებლის პროცენტული შემცველობა და მოკლე ფიზიკური კომპლექსი);

– ფენა 4-ის ელუვირებულ თიხოვან გრუნტზე – ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი;

– ფენა 5-ის მაიკოპის წყების ძირითად ქანზე – სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში (ბუნებრივრივად წყალგაჯერებული მდგომარეობა) და სიმკვრივეები (6 განსაზღვრა – წინა ეტაპზე, 6 განსაზღვრა – მიმდინარე კვლევისას). გამოცდების შედეგები ასახულია შესაბამის ცხრილებში. ამავე გრუნტისთვის, დამატებით ჩატარდა წყლოვანი გამონაჟურის ქიმიური ანალიზები და განისაზღვრა სუბარგილითის დამარილიანების ხარისხი.

ქვემოთ, ცხრილ 1-ში, მოსახერხებელი გამოყენებისთვის, კრებსითი ცხრილებიდან ამოკრებილია თიხოვანი გრუნტების (ფენები 2 და 4) ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და გამოთვლილია საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები. ცხრილში შესულია ორივე ეტაპზე განსაზღვრული ფიზიკური პარამეტრების მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ მნიშვნელობათა დიაპაზონი		საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა	
					ფენა 2	ფენა 4	ფენა 2	ფენა 4
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	–	0,13–0,22	0,18–0,22	0,16	0,20
2	ტენიანობა		W	%	21,6–28,1	18,8–25,5	24,4	21,7
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,82–1,96	1,98–2,05	1,89	2,03
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,42–1,58	1,60–1,73	1,52	1,67
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,69–2,71	2,73–2,74	2,70	2,74
4	ფორიანობა		n	%	41,3–47,6	37,0–41,5	43,7	39,2
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,704–0,907	0,588–0,711	0,777	0,645
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	0,25–0,48	0,02–0,31	0,39	0,13
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	–	0,80–0,93	0,82–0,99	0,85	0,92

წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით, გრუნტი მიეკუთვნებიან:

ფენა 2 – ძნელპლასტიკური კონსისტენციის ($\overline{I_L}$=39) სრულად წყალგაჯერებულ ($\overline{S_r}$ =0,85>0,80) თიხნარს ($\overline{I_P}$=0,16).

ტენიანობა W=21,6–28,1%-ის ფარგლებშია, ფორიანობა n=41,3–47,6%, ფორიანობის კოეფიციენტის $\overline{e}$=0,777 მნიშვნელობის დროს;

ფენა 4 – ნახევრადმყარი კონსისტენციის ($\overline{I_L}$=0,13) სრულად წყალგაჯერებულ ($\overline{S_r}$ =0,92>0,80) თიხას ($\overline{I_P}$=0,20).

ტენიანობა W=18,8–25,5%-ის ფარგლებშია, ფორიანობა n=37,0–41,5%, ფორიანობის კოეფიციენტის $\bar{e}$=0,645 მნიშვნელობის დროს.

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები, გამოიყენება საანგარიშოდ, კერძოდ სიმტკიცის და დეფორმაციული მახასიათებლების დასანიშნად Სნ 02.01-08-ის დანართი 2-ის 2 და 3 ცხრილებიდან:

ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტისთვის:

ხვედრითი შეჭიდულობა C=22 კპა (0,22 კგძ/სმ^2);

შინაგანი ხახუნის კუთხე φ=21°;

დეფორმაციის მოდული E=16,5 მპა (165 კგძ/სმ^2);

ფენა 4-ის თიხოვანი გრუნტისთვის:

ხვედრითი შეჭიდულობა C=68 კპა (0,68 კგძ/სმ^2);

შინაგანი ხახუნის კუთხე φ=20°;

დეფორმაციის მოდული E=24 მპა 240 კგძ/სმ^2);

ფენა 3-ის მსხვილნატეხოვან გრუნტზე განსაზღვრულია გრანულომეტრიული შემადგენლობა, რომლის მიხედვით გრუნტი კენჭნაროვანია, თიხის შემავსებლით 15,7–19,3%.

ჩატარდა ძირითადი ქანის (ფენა 5) სიმკვრივის და სიმტკიცის ზღვრის განსაზღვრა ერთღერძა კუმშვაზე ბუნებრივ (წყალგაჯერებულ) მდგომარეობაში (6 განსაზღვრა წინასაპროექტო დოკუმენტაციის სტადიაზე, 6 განსაზღვრა მიმდინარე კვლევისას). მიღებული მნიშვნელობები შეტანილია ცხრილ 2-ში.

ცხრილი 2

№№	ჭაბ.№№	ნიმუშის აღების სიღრმე h მ	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_c მპა	სიმკვრივე ρ გ/სმ^3
1	ჭაბ.№1	12,0	2,0 (20,0)	2,12
2	ჭაბ.№1	20,0	1,9 (19,0)	2,21
3	ჭაბ.№3	17,5	1,8 (18,0)	2,10
4	ჭაბ.№3	20,0	2,5 (25,0)	2,25
5	ჭაბ.№4	20,5	2,2 (22,0)	2,19
6	ჭაბ.№4	24,0	2,5 (25,0)	2,24
7	ჭაბ.№6	8,0	2,2 (22,0)	2,14
8	ჭაბ.№8	18,0	1,9 (19,0)	2,12
9	ჭაბ.№8	21,5	2,6 (26,0)	2,24
10	ჭაბ.№14	18,0	2,3(23,0)	2,15
11	ჭაბ.№14	21,0	2,5 (25,0)	2,22
12	ჭაბ.№16	19,5	2,5 (25,0)	2,25
საშუალო (ნორმატიული)მნიშვნელობა			2,2 (22,0)	2,19

ცხრილში მოცემული საშუალო მნიშვნელობების მიხედვით, პნ 05.01-08-ის დანართი 1-ის საკლასიფიკაციო ცხრილი 1-ის თანახმად, გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება ნახევრადკლდოვან გრუნტს ($\overline{R_C}$=22,0<50 კგძ/სმ^2).

ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლის პარალელურად, განისაზღვრა თიხოვანი გრუნტის (ფენა 2) და ძირითადი ქანის (ფენა 5) დამარილიანების ხარისხიც, რომლის მიხედვით ადვილად და საშუალოდხსნადი მარილების ჯამური შემცველობა თიხნარისთვის 6,4–8,0%-ის ფარგლებშია, სუბარგილითისთვის 2,1–2,9%, რაც მეტია კრიტერიუმებზე და გამოკვლეულ გრუნტებს მიაკუთვნებს დამარილიანებულის კატეგორიას (სულფატური დამარილიანება).

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ, საკვლევი ტერიტორია მიწისქვეშა წყლების გავრცელებით ხასიათდება. წყალი გამოვლენილია ყველა ჭაბურღილში 4,0–7,5 მ-ის სიღრმეზე, დამყარების იგივე დონით.

მიწისქვეშა წყლის სინჯების ქიმიური ანალიზების (3 სინჯი – კვლევის წინა ეტაპის სტადიაზე, 3 სინჯი – მიმდინარე კვლევისას) თანახმად, გამოკვლეული წყალი-გარემო, დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონების მიმართ ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

1. პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178–76) გამოყენებისას – ძლიერ აგრესიულია W_4–W_6– W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.
2. პორტლანდცემენტის კლინკერში ჩანართებით C_3S–65%, C_3A–7%, C_3A+C_4AF –22% (10178-76 სტანდარტი), წიდაპორტლანდცემენტის და, აგრეთვე, სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია W_4-W_6-W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

არმატურის მიმართ:

ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;

ბ) საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

თავი V დასკვნა და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, გამოკვლეული ტერიტორია დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან აქ არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და სხვა) არ არის განვითარებული.

   არახელსაყრელ ფაქტორად განიხილება ტერიტორიის ამგები ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის არათანაბარი გავრცელება, თიხოვანი გრუნტის და ძირითადი ქანის სულფატური დამარილიანება და გრუნტის წყლის შედარებით მაღალი დონე.

   სნ და წ 1.02.07–87 მე-10 დანართის თანახმად, საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო ტერიტორია მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის გეოლოგიურ-ლითოლოგიურ ჭრილში, სამშენებლო თვისებების მიხედვით, გამოიყოფა 4 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (**სგე**):

   I სგე – მეოთხეული თიხოვანი გრუნტი – თიხნარი (ფენა 2);

   II სგე – მსხვილნატეხოვანი გრუნტი – კენჭნარი (ფენა 3);

   III სგე – მაიკოპის წყების გათიხებული, ელუვირებული ზონა – თიხა (ფენა 4);

   IV სგე – მაიკოპის წყების ძირითადი ქანი – სუბარგილითი (ფენა 5).

   ნაყარი გრუნტი ფუძე-გრუნტად არ იქნება გამოყენებული (ქვაბულით მოიხსნება) და **სგე**-ად არ განიხილება.

3. დასაპროექტებელ კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობებისთვის ფუძე-გრუნტად შეიძლება გამოყენებული იქნეს **I, III** და **IV სგე**-ს გრუნტები.

   I და **III სგე**-ს (ფენები 2 და 4) თიხოვან გრუნტზე დაფუძნება შესაძლებელია კომპლექსში შემავალი არამაღლივი (12 სართულამდე) შენობა-ნაგებობებისთვის.

   IV სგე-ს ძირითად ქანზე (ფენა 5) დაფუძნება მაღლივი შენობისთვის უნდა განხორციელდეს საყრდენი ხიმინჯოვანი საძირკვლებით – საძირკველში თანაბრად განაწილებული ხიმინჯები გაერთიანებული და გრუნტზე დაყრდნობილი მთლიანი როსტვერკით. ხიმინჯები შეიძლება

შესრულდეს შუალედური ბალიშითაც ხრეშ-კენჭნაროვანი (ან ღორღოვანი) გრუნტის გამოყენებით.

საძირკველში ხიმინჯის რაოდენობა (რიცხვი) განისაზღვრება სიმტკიცის მაქსიმალური გამოყენების პირობით, ხიმინჯზე საანგარიშო დატვირთვიდან გამომდინარე და განაპირა ხიმინჯებზე დასაშვები გადატვირთვის გათვალისწინებით.

ხიმინჯის მზიდუნარიანობა გაიანგარიშება სნ და წ 2.02.03-85-ის მე-5 და მე-6 ფორმულებით, ხიმინჯის დიამეტრთან და ფუძე-გრუნტში შესვლის სიგრძესთან დამოკიდებულებაში.

4. ფუძის ანგარიშისათვის ქვემოთ, ცხრილ 3-ში, მოცემულია ტერიტორიაზე გამოყოფილი ოთხივე **სბე**-ს გრუნტის საანგარიშო-ნორმატიული მნიშვნელობები, მიღებული:

I სბე-ს თიხოვანი გრუნტისთვის (ფენა 2) – ლაბორატორიულად განსაზღვრული ფიზიკური პარამეტრების ნორმატიული მნიშვნელობების ($\overline{e}$ $\overline{I_L}$) გამოყენებით პნ 02.01-08-ის დანართი 2-ის ცხრ. 2, 3 და დანართი 3-ის ცხრ. 3-დან;

II სბე-ს მსხვილნატეხოვანი გრუნტისთვის – ლაბორატორიულად განსაზღვრული გრუნტის ნომენკლატურის მიხედვით, პნ 02.01-08-ის დანართი 3-ის ცხრ. 1-ის გამოყენებით;

III სბე-ს თიხოვანი გრუნტისთვის (ფენა 4) – ლაბორატორიულად განსაზღვრული ფიზიკური პარამეტრების ($\overline{e}$ $\overline{I_L}$) ნორმატიული მნიშვნელობების გამოყენებით პნ 02.01-08-ის დანართი 2-ის ცხრ. 2, 3 და დანართი 3-ის ცხრ. 3-დან;

IV სბე-ს ძირითადი ქანის (ფენა 5) – ლაბორატორიულად განსაზღვრული ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების და საარქივო მასალების მიხედვით.

ოთხივე **სბე**-ს გრუნტისთვის საგების და პუასონის კოეფიციენტების საანგარიშო მნიშვნელობები აღებულია „საანგარიშო-თეორიული“ ცნობარიდან, ხოლო ფილტრაციის კოეფიციენტების საორიენტაციო მნიშვნელობები და ბეტონის გრუნტთან ხახუნის კოეფიციენტი – „ტექნიკოს-გეოლოგის„ ცნობარიდან.

ცხრილი 3

№	გრუნტის მახასიათებელი	საანგარიშო მნიშვნელობები			
		I სბე (ზ. 2)	**II სბე** (ზ. 3)	**III სბე** (ზ. 4)	**IV სბე** (ზ. 5)
1	სიმკვრივე, ρ გ/სმ^3	1,89	1,95	2,03	2,19
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ^2)	22(0,22)	10(0,10)	68(0,68)	–
3	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	21	35	20	–
4	დეფორმაციის მოდული, E მპა (კგძ/სმ^2)	16,5(165)	35(350)	24(240)	–
5	საანგარიშო წინაღობა R_0კპა (კგძ/სმ^2)	230(2,3)	400(4,0)	350(3,5)	–
6	სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c,n}$ კპა (კგძ/სმ^2)	–	–	–	2200 (22,0)
7	დრეკადობის მოდული $E_დ$ მპა	–	–	–	810
8	დენადობის მაჩვენებელი I_L	0.37	–	0,13	–
9	საგების კოეფიციენტი, k კგ/სმ^3	3,0	6,0	8,0	25,0
10	პუასონის კოეფიციენტი, μ	0,35	0,27	0,42	0,25
11	ბეტონის გრუნტთან ხახუნის კოეფიციენტი f_n	0,25	0,50	0,50	0,65
12	ფილტრაციის კოეფიციენტი $k_ფ$	<0,1	<0,1	<0,1	<0,1

შენიშვნა: 1) ხიმინჯოვანი საძირკვლებისთვის, ხიმინჯის ტანის შემომფენავი გრუნტებისთვის საგების კოეფიციენტის საანგარიშო მნიშვნელობა აიღება სნ და წ 2.02.03-85-ის დანართი 1-ის რეკომენდაციების მიხედვით;

2) ცხრილში **IV სბე**-ს გრუნტისთვის (ფენა 5) დრეკადობის მოდულის მნიშვნელობა მოცემულია ქერჩის ქ.№6-ში ჩატარებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული ანალოგიური გრუნტის (მაიკოპის წყების ძირითადი ქანი) ლაბორატორიული კვლევის საარქივო მასალების მიხედვით (მასალა წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის დანართში).

5. არ გამოირიცხება საძირკვლის ქვეშ (ჩაღრმავებასთან დამოკიდებულებაში) ხრეშ-კენჭნაროვანი (ან ღორღოვანი) შრეებრივად (0,20–0,25 მ) შემკვრივებული ბალიშის გამოყენება, რაც საჭირო იქნება ძირითადი ქანის ეროზიული ზედაპირის მდებარეობის არათანაბარი სიღრმიდან გამომდინარე. საბალასტო გრუნტის ასეთი ფენა განიხილება როგორც საკომპენსაციო ბალიში და აგრეთვე, გამორიცხავს საძირკვლის უშუალო კონტაქტს დამარილიანებულ გრუნტებთან.

ხელოვნური ფუძის გამოყენებისას, ფენობრივად შემკვრივებულ ხრეშ-კენჭნარის საბალასტო გრუნტზე დეფორმაციის მოდული მიღებული იქნეს

– E=40 მპა (400 კგძ/სმ^2), ხოლო საანგარიშო წინაღობა – R_0=350 კპა (3,5 კგძ/სმ^2).

შენიშვნა: საბალასტო გრუნტის გამოყენება აუცილებელი იქნება სამშენებლო ქვაბულებში საბურღი მექანიზმებისთვის ნორმალური სამუშაო რეჟიმის შესაქმნელად.

6. კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, გრუნტის წყალი არაღრმა გავრცელებისაა და წარმოადგენს ხელშემშლელ ფაქტორს დასახული პროექტის (მიწისქვეშა სართულები) განხორციელებისას.

   დასახული პროექტის სრული მოცულობის რეალიზება, სპეციალური ღონისძიებების გარეშე, შეუძლებელი იქნება. ერთ-ერთ ღონისძიებად განიხილება მიწისქვეშა სართულების საიმედო ჰიდროიზოლაცია, ე.წ. „აბაზანის“ წესით – წყალგაუმტარი ბეტონით ამოყვანილი მიწისქვეშა სართულები თანამედროვე ჰიდროსაიზოლაციო საშუალებების გამოყენებით (პენეტრონი ან მისი ანალოგები).

   გრუნტის წყლის სარკის საანგარიშო დონედ, საპროგნოზო აწევის გათვალისწინებით მიღებული იქნეს +0,5 მ დაფიქსირებულ დამყარების დონეებთან მიმართებაში.

7. დასახული პროექტის სრული მოცულობითი რეალიზებისას, გრუნტის წყლის დონის მნიშვნელოვანი დაწევისას (>3,0 მ-ზე) უნდა გათვალისწინდეს დაუტვირთავ საძირკვლის კონსტრუქციაზე მოქმედი წყლის ამომგდები ძალა (ხიმინჯების გამოყენების არეალში ამის საჭიროება არ არის – ხიმინჯი განიხილება ამომდგები ძალის საპირწონედ). ამომგდები ძალის მოქმედება უნდა გათვალისწინდეს ჩვეულებრივი საძირკვლების (ფილა) გამოყენებისას. შეიძლება ფილის საძირკველში კონსტრუქციული ღონისძიებების გატარება ე.წ. წიბოვანი ფილის საშუალებით.

   წყლის ამომგდები ძალა, მხედველობაშია მისაღები მშენებლობის საწყის ეტაპზე, დაუტვირთავ საძირკვლებზე. შესაბამისად მშენებლობა უნდა განხორციელდეს საწყის ეტაპზე მუდმივი ამოტუმბვის თანხლებით.

8. სამშენებლო ქვაბულის ამოღებისას, საჭირო გახდება წყალქცევითი სამუშაოების (ამოტუმბვა) ჩატარება. წყლის მოდენი ქვაბულის ყოველი მ^2-დან, ან თხრილის გრძივი მეტრიდან მიღებული იქნეს 0,01 ლ/წმ.

9. გრუნტების და გრუნტის წყლის სულფატური აგრესიულობის გამო, საძირკვლის და მიწისქვეშა კონსტრუქციები დამზადდეს წყლის ქიმიური ანალიზის დასკვნაში მითითებულ ცემენტების სახეებზე დამზადებული ბეტონები (სულფატომედეგი).

10. პნ 01.01–09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას.

სეისმური თვისებების მიხედვით, სამშენებლო ტერიტორიის ამგები გრუნტები, მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) – III კატეგორიას;

ბ) დანარჩენი გრუნტები (ფენები 2, 3, 4, 5) – II კატეგორიას.

საანგარიშო სეისმურობა განისაზღვროს გრუნტულ პირობებთან და შენობათა სართულიანობასთან დამოკიდებულებაში.

შენიშვნა: კომპლექსში შემავალი ცალკეული შენობების სართულიანობა აღემატება პნ 01.01-09-ის ცხრ. 8-ში მოცემულ სართულიანობას და დაპროექტება წარიმართოს ამავე ცხრილის მე-4 შენიშვნის გათვალისწინებით.

11. ქვაბულების და თხრილების ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01-87-ის 3.11, 3.12 და 3.15 პუნქტების, აგრეთვე სნ და წ III-4-80 მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

შენიშვნა: 5 მ-ზე მეტი ღრმა ქვაბულის ამოღებისას, უნდა შემუშავდეს ქვაბულის მთლიანი პერიმეტრის გამაგრების ღონისძიება სათანადოდ დამუშავებული პროექტის საფუძველზე.

12. დამუშავების სიძნელის მიხედვით, სამშენებლო ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები, სნ და წ IV-2–82-ის I–I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) – სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1900 კგ/მ^3 (რიგ. №24^ბ);

ბ) თიხნარი (ფენა 2) – სამივე სახეობით დამუშავებისას – II ჯგუფს, სიმკვრივით 1890 კგ/მ^3 (რიგ. №33^3);

გ) თიხა (ფენა 4) – ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით – IV ჯგუფს, ბულდოზერით – III ჯგუფს, სიმკვრივით 2030 კგ/მ^3 (რიგ. №33^3);

13. ხიმინჯოვანი საძირკვლების მოსაწყობად გასაყვანი ჭაბურღილებისთვის, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ბურღვის მეთოდის და სიძნელის, აგრეთვე მათი მდგრადობიდან გამომდინარე, აიღება იმავე ნორმატიული დოკუმენტის მე-4 კრებულის („ჭაბურღილები“) 4–5 და 4–6 ცხრილებიდან.

ინჟინერ გეოლოგი კ. სირაძე

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების
განყოფილების მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

შპს „ახალი საქართველოს“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება

ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები

ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი. ბლდანი. ილია ვეკუას ქ. №11[ბ]-ის მიმდებარედ (ს.კ. 01.11.13.001.122) „ბლდანი-მოლის“ მრავალფუნქციური კომპლექსი

გეოტექნიკური ლაბორატორია ქ. თბილისი შარტავას ქ. №43ლ

ჭაბურღილის №	ნიმუშის №	ნიმუშის სიღრმე	ნიმუშის სტრუქტურა	ლაბ. №	პლასტიკურობა: ზღვრული ტენიანობა			ბუნებრივი ტენიანობა	სიმკვრივე: ბრუნტის			ფორიანობა	ფორიანობის კოეფიციენტი: საწყისი		კონსისტენციის მაჩვენებელი	ტენიანობის ხარისხი	მაჩვენებელი	დაბარღვიანების ხარისხი	ადვილად და საშუალო ხსნადი მარილების ჯამური შემცველობა	თაბაშირის შემცველობა	კარბონატების შემცველობა	ბრუნტის დასახელება
					ზედა ზღვარი	ქვედა ზღვარი	რიცხვი		ბრუნტის	მშრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკების		საწყისი	დენადობის ზღვარზე								
		h			W_L	W_p	I_p	W	ρ	ρ_d	ρ_s	n	e	e_L	I_L	S_r	I_{ss}	D_{sal}	-	$CaSO_4 \cdot 2H_2O$	$CaCO_3$	
		მ			-	-	-	%	გ/სმ^3			%	-	-	-	-	-		%	%	%	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
1	ჭაბ. №1	3,5	მონ.	141	0,38	0,18	0,20	19,2	2,03	1,70	2,74	37,8	0,609	1,041	0,06	0,86	0,27					თიხა
2		6,0	მონ.	142	0,40	0,19	0,21	20,3	2,01	1,67	2,74	39,0	0,640	1,096	0,06	0,87	0,28					თიხა
3		9,0	მონ.	143	0,40	0,20	0,20	22,6	2,05	1,67	2,74	39,0	0,639	1,096	0,13	0,97	0,28					თიხა
4		12,0	მონ.	144					2,12									დამ.	2.9	2.1	<1	სუბარბილითი
5		20,0	მონ.	145					2,21													სუბარბილითი
6	ჭაბ. №2	2,5	მონ.	146	0,32	0,18	0,14	22,8	1,88	1,53	2,69	43,1	0,757	0,861	0,34	0,81	0,06					თიხნარი
7		4,5	მონ.	147	0,39	0,20	0,19	20,4	2,02	1,68	2,74	38,8	0,633	1,069	0,02	0,88	0,27					თიხა
8		7,0	მონ.	148	0,37	0,19	0,18	23,0	2,04	1,66	2,74	39,5	0,652	1,014	0,22	0,97	0,22					თიხა
9	ჭაბ. №3	4,0	მონ.	149	0,32	0,17	0,15	21,6	1,90	1,56	2,70	42,1	0,728	0,864	0,31	0,80	0,08	დამ.	5.5	4.6	6.0	თიხნარი
10		6,5	მონ.	150	0,36	0,19	0,17	27,0	1,87	1,47	2,71	45,7	0,840	0,976	0,47	0,87	0,07					თიხნარი
11		9,0	მონ.	151	0,33	0,17	0,16	24,3	1,85	1,49	2,71	45,1	0,821	0,894	0,46	0,80	0,04					თიხნარი
12		11,5	მონ.	152	0,35	0,18	0,17	22,5	1,89	1,54	2,71	43,1	0,756	0,949	0,26	0,81	0,11					თიხნარი
13		12.3-12.9	დარღ. სტრ.	153	0,36	0,18	0,18	20,3							0,13							კენჭნაროვანი ბრ. შემ. თიხა
14		14,0	მონ.	154	0,39	0,19	0,20	21,1	2,00	1,65	2,74	39,7	0,659	1,069	0,11	0,88	0,25					თიხა

19

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
15	ჭაბ. №3	17,5	მონ.	155					2,10													სუბარგილითი
16		20,0	მონ.	156					2,25									დამ.	2.1	1.2	<1	სუბარგილითი
17	ჭაბ. №4	4,0	მონ.	157	0,37	0,20	0,17	28,1	1,82	1,42	2,71	47,6	0,907	1,003	0,48	0,84	0,05					თიხნარი
18		6,5	მონ.	158	0,36	0,19	0,17	23,3	1,86	1,51	2,70	44,1	0,790	0,972	0,25	0,80	0,10					თიხნარი
19		9,5	მონ.	159	0,34	0,18	0,16	23,6	1,89	1,53	2,70	43,4	0,766	0,918	0,35	0,83	0,09	დამ.	7.0	5.9	6.5	თიხნარი
20		12,0	მონ.	160	0,32	0,18	0,14	21,9	1,91	1,57	2,71	42,2	0,730	0,867	0,28	0,81	0,08					თიხნარი
21		12.8-13.6	დარღ. სტრ.	161	0,38	0,19	0,19	21,6							0,14							კენჭნაროვანი ბრ. შემ. თიხა
22		14,5	მონ.	162	0,38	0,18	0,20	18,8	2,05	1,73	2,74	37,0	0,588	1,041	0,04	0,88	0,29					თიხა
23		17,0	მონ.	163	0,36	0,18	0,18	22,4	2,03	1,66	2,74	39,5	0,652	0,986	0,24	0,94	0,20					თიხა
24		20,5	მონ.	164					2,19									დამ.	2.7	1.9	<1	სუბარგილითი
25		24,0	მონ.	165					2,24													სუბარგილითი
26	ჭაბ. №5	4,5	მონ.	166	0,32	0,17	0,15	23,7	1,89	1,53	2,70	43,4	0,767	0,864	0,45	0,83	0,05	დამ.	7.1	6.1	6.5	თიხნარი
27		7,0	მონ.	167	0,35	0,19	0,16	23,1	1,90	1,54	2,70	42,8	0,749	0,945	0,26	0,83	0,11					თიხნარი
28		9,5	მონ.	168	0,33	0,19	0,14	24,4	1,92	1,54	2,70	42,8	0,749	0,891	0,39	0,88	0,08					თიხნარი
29		12,0	მონ.	169	0,35	0,19	0,16	24,9	1,95	1,56	2,70	42,2	0,729	0,945	0,37	0,92	0,12					თიხნარი
30		12.9-14.1	დარღ. სტრ.	170	0,36	0,17	0,19	17,8							0,04							კენჭნაროვანი ბრ. შემ. თიხა
31		15,5	მონ.	171	0,40	0,19	0,21	20,1	2,03	1,69	2,74	38,3	0,621	1,096	0,05	0,89	0,29					თიხა
32		18,0	მონ.	172	0,39	0,18	0,21	21,5	2,05	1,69	2,74	38,4	0,624	1,069	0,17	0,94	0,27					თიხა
33	ჭაბ. №6	3,0	მონ.	1	0,38	0,18	0,20	18,9	1,99	1,67	2,73	38,7	0,631	1,037	0,05	0,82	0,25					თიხა
34		5,0	მონ.	2	0,40	0,19	0,21	25,5	2,01	1,60	2,74	41,5	0,711	1,096	0,31	0,98	0,23					თიხა
35		8,0	მონ.	3					2,14									დამ.	2.1	1.5	<1	სუბარგილითი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
36	ჭაბ. №8	2,5	მონ.	4	0,33	0,18	0,15	21,9	1,90	1,56	2,70	42,3	0,732	0,891	0,26	0,81	0,09					თიხნარი
37		5,0	მონ.	5	0,35	0,18	0,17	25,0	1,87	1,50	2,71	44,8	0,811	0,949	0,41	0,83	0,08	დამ.	6.4	4.6	7.0	თიხნარი
38		8,0	მონ.	6	0,34	0,19	0,15	23,5	1,95	1,58	2,70	41,5	0,710	0,918	0,30	0,89	0,12					თიხნარი
39		10.5-11.5	დარღ. სტრ.	7	0,39	0,19	0,20	19,9							0,04							კენჭნაროვანი ბრ. შემ. თიხა
40		13,0	მონ.	8	0,37	0,19	0,18	22,5	2,04	1,67	2,73	39,0	0,639	1,010	0,19	0,96	0,23					თიხა
41		14,0	მონ.	9	0,39	0,18	0,21	24,0	2,02	1,63	2,74	40,5	0,682	1,069	0,29	0,96	0,23					თიხა
42		18,0	მონ.	10					2,12													სუბარბილითი
43		21,5	მონ.	11					2,24													სუბარბილითი
44	ჭაბ. №14	3,5	მონ.	12	0,32	0,18	0,14	24,0	1,89	1,52	2,70	43,5	0,771	0,864	0,43	0,84	0,05	დამ.	8.0	6.1	7.5	თიხნარი
45		5,5	მონ.	13	0,36	0,19	0,17	26,1	1,88	1,49	2,71	45,0	0,818	0,976	0,42	0,86	0,09					თიხნარი
46		8,0	მონ.	14	0,35	0,20	0,15	27,0	1,90	1,50	2,70	44,6	0,805	0,945	0,47	0,91	0,08					თიხნარი
47		10,5	მონ.	15	0,32	0,19	0,13	25,1	1,95	1,56	2,70	42,3	0,732	0,864	0,47	0,93	0,08					თიხნარი
48		13,5	მონ.	16	0,39	0,19	0,20	19,9	2,05	1,71	2,74	37,6	0,603	1,069	0,04	0,90	0,29					თიხა
49		15,5	მონ.	17	0,42	0,20	0,22	23,2	1,98	1,61	2,74	41,3	0,705	1,151	0,15	0,90	0,26					თიხა
50		18,0	მონ.	18					2,15									დამ.	2.5	1.8	<1	სუბარბილითი
51		21,0	მონ.	19					2,22													სუბარბილითი
52	ჭაბ. №16	6,0	მონ.	20	0,35	0,18	0,17	26,2	1,83	1,45	2,70	46,3	0,862	0,945	0,48	0,82	0,04					თიხნარი
53		8,0	მონ.	21	0,36	0,20	0,16	26,9	1,88	1,48	2,71	45,3	0,829	0,976	0,43	0,88	0,08	დამ.	7.9	6.1	7.5	თიხნარი
54		10,5	მონ.	22	0,32	0,19	0,13	23,7	1,96	1,58	2,70	41,3	0,704	0,864	0,36	0,91	0,09					თიხნარი
55		12.5-14.0	დარღ. სტრ.	23	0,37	0,18	0,19	22,0							0,21							კენჭნაროვანი ბრ. შემ. თიხა
56		15,0	მონ.	24	0,42	0,21	0,21	22,2	2,05	1,68	2,74	38,8	0,633	1,151	0,06	0,96	0,32					თიხა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
57	ჭაბ. №16	17,0	მონ.	25	0,41	0,20	0,21	24,9	2,03	1,63	2,74	40,7	0,686	1,123	0,23	0,99	0,26					თიხა
58		19,5	მონ.	26					2,25													სუბარგილითი

					ბრანულომეტრული შემადგენლობა, % ფრაქციის ზომა, მმ								ბრუნტის დასახელება
					>100	100-60	60-40	40-20	20-10	10-5	5-2	<2	
1	ჭაბ. №3	12.3-12.9	დარღ. სტრ.	153	5,6	15,4	21,1	11,1	9,9	9,5	8,1	19,3	კენჭნაროვანი ბრუნტი შემ. თიხა
2	ჭაბ. №4	12.8-13.6	დარღ. სტრ.	161	2,9	19,9	14,3	15,2	10,4	10,4	11,2	15,7	კენჭნაროვანი ბრუნტი შემ. თიხა
3	ჭაბ. №5	12.9-14.1	დარღ. სტრ.	170	8,8	20,4	18,7	9,3	12,3	7,0	6,1	17,4	კენჭნაროვანი ბრუნტი შემ. თიხა
4	ჭაბ. №14	10.5-11.5	დარღ. სტრ.	7	10,1	14,4	12,5	10,9	8,7	12,9	13,5	17,0	კენჭნაროვანი ბრუნტი შემ. თიხა
5	ჭაბ. №16	12.5-14.0	დარღ. სტრ.	23	7,0	16,0	16,5	14,4	13,4	7,1	10,9	14,7	კენჭნაროვანი ბრუნტი შემ. თიხა

ინჟინერი მ. ჭარბაძე

წამყვანი ინჟინერ ჟიმიკოსი ნ. სურგულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

22

ცხრ. №2

შპს „ახალი საქალაქმშენპროექტი" საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	გეოტექნიკური ლაბორატორია ქ. თბილისი შარტავას ქ. №43დ
	ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი. გლდანი. ილია ვეკუას ქ. №11ბ-ის მიმდებარედ (ს.კ. 01.11.13.001.122) „გლდანი-მოლის" მრავალფუნქციური კომპლექსი	

რიგითი №	გამონამუშევრის №	აღების სიღრმე	გამოცდის ტიპი	ლაბ. №	სიგანე	დიამეტრი	ფართობი	ეკვივალენტური დიამეტრი		მრღვევი ძალა	სიმტკიცის ინდექსი	კორექტირების კოეფ-ტი	კორექტირებული სიმტკიცის ინდექსი	კოეფ-ტი	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე (წყალგაჯ.)	სიმკვრივე	გრუნტის დასახელება
		h			W	D	A	D_e^2	D_e	P	I_s	F	$I_{s(50)}$	C	Rc (δ_{uc})	ρ	
		მ			მმ	მმ	მმ²	მმ²	მმ	კნ	მპა	-	მპა	-	მპა	გ/სმ³	
1	ჭაბ. №1	12,0	d -არასწორი ფორმის	144	35,6	31,0	1103,6	1405,1	37,49	0,159	0,11	0,88	0,10	20,0	2,0	2,12	სუბარგილითი
2		20,0	d -არასწორი ფორმის	145	40,3	32,6	1313,8	1672,8	40,90	0,162	0,10	0,91	0,09	21,0	1,9	2,21	სუბარგილითი
3	ჭაბ. №3	17,5	d -არასწორი ფორმის	155	40,4	32,9	1329,2	1692,3	41,14	0,156	0,09	0,92	0,08	21,0	1,8	2,10	სუბარგილითი
4		20,0	d -არასწორი ფორმის	156	38,7	30,2	1168,7	1488,1	38,58	0,202	0,14	0,89	0,12	21,0	2,5	2,25	სუბარგილითი
5	ჭაბ. №4	20,5	d -არასწორი ფორმის	164	38,8	29,9	1160,1	1477,1	38,43	0,177	0,12	0,89	0,11	21,0	2,2	2,19	სუბარგილითი
6		24,0	d -არასწორი ფორმის	165	36,4	31,5	1146,6	1459,9	38,21	0,199	0,14	0,89	0,12	21,0	2,5	2,24	სუბარგილითი
7	ჭაბ №6	8,0	d -არასწორი ფორმის	3	48,8	30,7	1498,2	1907,5	43,68	0,211	0,11	0,94	0,10	21,0	2,2	2,14	სუბარგილითი
8	ჭაბ №8	18,0	d -არასწორი ფორმის	10	50,4	40,4	2036,2	2592,5	50,92	0,208	0,08	1,01	0,08	23,0	1,9	2,12	სუბარგილითი
9		21,5	d -არასწორი ფორმის	11	50,9	31,8	1618,6	2060,9	45,40	0,250	0,12	0,96	0,12	22,0	2,6	2,24	სუბარგილითი
10	ჭაბ №14	18,0	d -არასწორი ფორმის	18	35,2	23,5	827,2	1053,2	32,45	0,152	0,14	0,82	0,12	19,0	2,3	2,15	სუბარგილითი
11		21,0	d -არასწორი ფორმის	19	46,3	30,8	1426,0	1815,7	42,61	0,235	0,13	0,93	0,12	21,0	2,5	2,22	სუბარგილითი
12	ჭაბ №16	19,5	d -არასწორი ფორმის	26	52,7	32,2	1696,9	2160,6	46,48	0,254	0,12	0,97	0,11	22,0	2,5	2,25	სუბარგილითი

ინჟინერი მ. ჭარბაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

შპს „ახალი საძძალაძმშენპროექტი“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე გ ე ბ ი	გეოტექნიკური ლაბორატორია ქ. თბილისი შარტავას ქ. №43დ

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა

ქ. თბილისი. ბლდანი. ილია ვეკუას ქ. №11^{ბ}-ის მიმდებარედ (ს.კ. 01.11.13.001.122)

„ბლდანი-მოლის“ მრავალფუნქციური კომპლექსი

წყალკუნქტის დასახელება ჭაბ. № 1	სინჯის აღების თარიღი: 30. 06. 2018 წ.
სინჯის აღების სიღრმე h = 4.7 მ	

ლაბ. № 33

ფიზიკური თვისებები

გამჭვირვალობა	მღვრიე
ფერი	უფერო
ნალექი	თიხოვანი
სუნი	უსუნო
გემო	არ განსაზღვრა
ტემპერატურა	—

სიხისტე

დასახელება	ბერმანული გრადუსი	მგ/ექვ
საერთო	124,9	44,6
კარბონატული	22,4	8,0
არაკარბონატ.	102,5	36,6

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი			pH	7.4
იონები			მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	Cl^-	248,50	7,00	9,56
	სულფატი	SO_4^{2-}	2797,50	58,24	79,52
	ჰიდროკარბონატი	HCO_3^-	488,00	8,00	10,92
	კარბონატი	CO_3^{2-}	0,00	0,00	0,00
	ჯამი		3534,00	73,24	100,00
კათიონები	ნატრიუმი კალიუმი	$Na^+ + K^+$	658,37	28,62	39,08
	კალციუმი	Ca^{2+}	727,03	36,28	49,53
	მაგნიუმი	Mg^{2+}	101,75	8,34	11,39
	ჯამი		1487,15	73,24	100,00

მინერალიზაცია

საერთო მინერალიზაცია	მგ/ლ	4777,20

წყლის მარილოვანი შემადგენლობა

(კურლოვის ფორმულა)

$$M_{4.8}\frac{SO^4_{80}\ HCO^3_{11}\ Cl_{10}}{Ca_{50}\ Na_{39}\ Mg_{11}}$$

ნახშირორჟანგი CO_2

თავისუფალი CO_2	მგ/ლ	44,00

შპს „ახალი საძძალაძმშენპროექტი“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე გ ე ბ ი	გეოტექნიკური ლაბორატორია ქ. თბილისი შარტავას ქ. №43დ

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა

ქ. თბილისი. გლდანი. ილია ვეკუას ქ. №11$^{\delta}$-ის მიმდებარედ (ს.კ. 01.11.13.001.122)

„გლდანი-მოლის“ მრავალფუნქციური კომპლექსი

წყალკუნქტის დასახელება ჭაბ. № 3	სინჯის აღების თარიღი: 30. 06. 2018 წ.
სინჯის აღების სიღრმე h = 4.9 მ	

ლაბ. № 34

ფიზიკური თვისებები

გამჭვირვალობა	მღვრიე
ფერი	უფერო
ნალექი	თიხოვანი
სუნი	უსუნო
გემო	არ განსაზღვრა
ტემპერატურა	—

სიხისტე

დასახელება	ბერმანული გრადუსი	მგ/ექვ
საერთო	122,6	43,8
კარბონატული	25,2	9,0
არაკარბონატ.	97,4	34,8

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი			pH	7.4
იონები			მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	Cl^-	284,00	8,00	10,80
	სულფატი	SO_4^{2-}	2740,50	57,06	77,04
	ჰიდროკარბონატი	HCO_3^-	549,00	9,00	12,15
	კარბონატი	CO_3^{2-}	0,00	0,00	0,00
	ჯამი		3573,50	74,06	100,00
კათიონები	ნატრიუმი კალიუმი	$Na^+ + K^+$	696,26	30,27	40,88
	კალციუმი	Ca^{2+}	710,32	35,45	47,86
	მაგნიუმი	Mg^{2+}	101,75	8,34	11,26
	ჯამი		1508,33	74,06	100,00

მინერალიზაცია

საერთო მინერალიზაცია	მგ/ლ	4807,00

